ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული პარტიის გაზეთი 1989 წლის დეკემბერი №20

საქართველოს თავისუფლების უკანასკნელი დღეები

ძვირფასო მკითხველო!

ქართველთა სამშობლოს, წმიდა მარიამ-ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანა, ჩვენს ბედკრულ საქართველოს, ოდითგანვე ეძალებოდა მტერი. მრავალჯერ ყოფილა მათ მიერ აოხრებული საქართველო და ჩვენი თბილისი. ხაზარი თუ სპარსი, არაბი თუ ოსმალო, რუსი თუ სხვა გადამთიელი იარაღის ძალით ეუფლებოდა ჩვენს დედაქალაქს, ხოცავდა მამულიშვილებს, ტყვედ ეგდებოდა ქართველ ჭაბუკებსა და ქალებს, მოხუცებსა თუ ბავშვებს; ეუფლებოდა თბილისს და [illegible] ამარებდა აქ. ჩვენი [illegible]ბრები, ჩვენგან განსხვავებით, თავისუფლებას იყვნენ ნაჩვევნი, და ამ თავისუფლებას უსიტყვოდ წირავდნენ სიცოცხლეს. ჩვენთვის, მტრის მონობაში დაბადებულებისა და ამ მონობაში გაზრდილებისათვის, სიტყვა თავისუფლება ისევე სანატრელია, როგორც ბრმისათვის სინათლე, რომელსაც იგი არასოდეს უხილავს. ქართველთა სამმა თუ ოთხმა თაობამ იცხოვრა რუსეთის კომუნისტური იმპერიის მონობაში და, ამ მდგომარეობას უკანასკნელ დრომდე ჩვეულებრივ მოვლენასავით აღიქვამდა ქართველი კაცი. მართალია კომუნიზმის მშენებლობისა არავის სწამდა, მაგრამ ჩვენი დაქცევის სიმართლე ბევრმა არ იცოდა და ვინც იცოდა, მათი დიდი უმრავლესობა ან [illegible], ანდა ახლობელთა ვიწრო წრეში მოსთქვამდა მხოლოდ. სულ ცოტა ხნის წინ კომუნისტები ხალხს ცხვრებივით ერეკებოდნენ 25 თებერვლის ზეიმზე.

1921 წლის 25 თებერვალს კიდევ ერთხელ იქნა მტრის მიერ აღებული თბილისი და მას შემდეგ საქართველოს აღარც ღირსებია თავისუფლება. გვეღირსება თუ არა სანუკვარი თავისუფლება, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. გაზეთ "თავისუფლების" უმთავრესი თემაც ეს არის, მაგრამ ამჯერად ნომრის დიდ ნაწილს დავუთმობთ ჩვენი დაღუპვის ცოცხალ ისტორიას. ჩვენმა თაობამ მწარედ იწვნია 9 აპრილი, მისი ტკივილი არც გაყუჩდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს უფრო დიდი და მწარე ტკივილი- 1921 წლის 25 თებერვალი. წარმოიდგინეთ მტრის მიერ დასალუპავად განწირული დედაქალაქი! თბილისი, ასეთი იყო, ალბათ, ხაზართა შემოსევის წინ, ასეთივე იქნებრდა თბილისი სანამ მას მურვან ყრუ, ჯალალედინი ანდა აღა-მაჰმად-ხანი აიღებდა. წითელი მტერი თბილისს კარს იყო მომდგარი. იგი უტევდა, მარცხდებოდა და უკან იხევდა, მაგრამ ისევ უტევდა...

ორ დღეში თბილისი უნდა დაეცეს. დღეს, ჩვენ ვიცით ეს ისტორიის თვალსაწიერიდან, მაგრამ, 1921 წლის 23 თებერვალს, მაშინდელი თბილისელები გამარჯვების იმედით აღსავსენი უცდიდნენ მოვლენების განვითარებას... დრო და ჟამმა წაშალა მათი სახეები, მათი მონაყოლი ბუნდოვან მოგონებად ჩარჩით უკვე მოხუცებად ქცეულ მათს შვილიშვილებს. დიახ, ბევრმა წაშალა დრომ,- ჩვენ ვეღარ აღვადგენთ მაშინდელი ტრაგედიის სრულ სურათს, მაგრამ "თავისუფლების" მკითხველს ვთავაზობთ გაზეთ "ერთობის" 1921 წლის 23 თებერვლის ნომრიდან გადმობეჭდილ რამდენიმე სტატიას. ეს მასალები აქამდე ხელმიუწვდომელი იყო მკითხველისათვის. დაე, მკითხველმა განსაჯოს...

შულავერში შექმნილი "ქართული მთავრობა" ურყევად დგას დღეს რუსთაველზე. ქართველი იუნკრების სისხლს 1989 წელს ცხრააპრილელების სისხლიც დაემატა. "მთავრობის სასახლის" ეზოს ხის მესერი აქვს შემოვლებული, ძევს 9 აპრილის მოსაგონარი ქვა წარწერით, სანთლებით და ყვავილებით. გადმოგდებულია სერგო ორჯონიკიძის ძეგლი, მაგრამ საქართველოს განთავისუფლებამდე ჯერ კიდევ გრძელი, მძიმე გზა გვაქვს გასავლელი...

ერთობა

ოთხშაბათი 23 თებერვალი 1921 წ. № 41

რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის. № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14-76, კანტორის 1662

თფილისის დამცველთა დაკრძალვა

მშობლების, ნათესავების და ნაცნობთა საცნობად ვაცხადებთ, რომ 23 თებერვალს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში საძმო სასაფლაოზე მოხდება დაკრძალვა მუხანათ მტრისაგან დედა ქალაქის მოგერიების დროს სახელოვანად და გმირულად დახოცილთა ნამდვილ სამშობლოს შვილების-ჩვენი მხედრობისა.

ყველა სახელმწიფო და საზოგადო. დაწესებულებათა მოსამსახურეთ ვთხოვთ სცენ პატივი დასწრებით დედა ქალაქის დაცვის მსხვერპლებს.

გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავადმყოფოდან 10 საათზე მიხეილის პროსპექტით, კიროჩნი ქუჩა, ვერის აღმართით, რუსთაველის პროსპექტით სამხედრო ტაძარში.

ქალაქ თფილისის კომენდანტი.

23 თებერვლის "ერთობაში" დაბეჭდილია ამჟამინდელი მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ტაძარში დასაკრძალავთა ნეკროლოგები, რომლებშიც მოიხსენებიან:

კაპიტანი

მიხეილ თუმანიშვილი

შევარდენთა ქალთა განყოფილების წევრი გიმნაზისტი მოწყალების და

მარიამ მაყაშვილი

ლეიტენანტები

აბაშიძე და გრიგოლია

სტუდენტი

პავლე ბეშქენაძე

კაპიტანი

ნიკოლოზ ზანდუკელი

მოხალისე ჯარისკაცი სტუდენტი

ნიკოლოზ ქალანდარიშვილი

შენიშვნა:

ნეკროლოგების ტექსტი შემოკლებულია. (გაზეთ "თავისუფლების" რედაქცია).

გენერალური შტაბის ცნობა

თფილისი, თებერვლის 22.

განაგრძო რა დევნა კოჯორთან დამარცხებული მტრისა გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავთა რაზმმა დაიკავა სოფლები კუმისი და წალასკური. ღამე მოულოდნელი თავდასხმით ს. კუმისთან მტერს წავართვით 8 ტყვიისმფრქვეველი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 53 წითელარმიელი. ს. წალასკურთან კი,- ყუთი ყუმბარებით და ვაზნებით.

ის ადგილები, სადაც უკან დახეულ მტერს გაუვლია, აშკარა სურათს იძლევა მტრის არევ დარევისას და დიდი ზარალისას.

კახეთში დაიწყო ადგილობრივ გლეხების ძლიერი პარტიზანული გამოსვლები ბოლშევიკების კავალერიის წინააღმდეგ.

მტრის ცდა, რომ მოახლოვებოდა ჩვენს მოწინავე პოზიციას დარიალთან, მოგერიებულ იქნა.

გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია.

ომში

20 თებერვალი

საღამოს 5 საათია.

ქუჩებში რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა შეიქნა.

რა ამბავია? მოჰყავთ, მოჰყავთ.

გამოჩნდა პირველი პარტია სამხედრო ტყვეებისა-თავიანთი თოფებით ისეთივე საცოდავი, ისეთივე დაფლეთილი ახალგაზრდები, როგორც გუშინ, ასე გეგონება ყველა ერთი წლისა და ასაკის არიანო.

ჩვეულებრივის ზიზღით აცილებენ მათ. ზოგიერთნი, მათ შორის, რუსები თავს ვერ იკავებენ და უფრო მაგარ სიტყვებსაც ესვრიან მიმავალ ტყვეებს.

დანარჩენები ასეთებს აჩერებენ და არცხვენენ.

მიიმალა ეს სანახაობაც.

ხალხი მაინც არ იშლება. ის თითქოს უკმაყოფილია, რომ ასე ცოტა ტყვეები მოჰყავთ.

გაგრძელება მეორე გვერდზე

ცნობაა, რომ შვიდასამდე ტყვე არის დაჭერილი კოჯორის ბრძოლაში და საცაა უნდა ჩამოატარონო.

ხალხი იცდის, არ იშლება. ეტყობა, კიდევ მოსწყინდათ ლოდინი და აი, ახალი გასართობიც:

სასახლის წინ შეუყრია თავი ერთ ჯგუფს: ჯარის-კაცებს და გვარდიელებს და გაუმართავთ ცეკვა-თამაში, ხალხი მათ შემოჰხვევია და სიამოვნებით უკრავს ტაშს.

აქა იქ გაისმის ხმები: საკვირველია ქართველის ბუნება, ის ვრთსა და იმავე დროს სისხლსაც ღვრის და ლხენასაც არ იშლისო.

დაღამდა. ღიღურ შთაბეჭდილებით დაღლილ-დაქანცული მივდივარ სახლში.

გზაში დამეწია მთელი ჯგუფი გვარდიელებისა: ზოგს ხელი აქვს შეხვეული, ზოგს ფეხი – ზოგს თავი... კოჯორის ფრონტიდან მოდიან.

როგორ არის საქმე? – ძალიან კარგათ, დავამარცხეთ, გავფანტეთ, ბევრი დავხოცეთ, ბევრიც ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ტყვეებს ხვალ დილით ჩამოიყვანენ.

მინდოდა კიდევ გამომეკითხა, მაგრამ ჭრილობისა თუ დალილობისგან ისე ლაპარაკობდნენ, რომ მე დანაშაულობად ჩავთვალე მათი შეწუხება და გზა დავულოცე...

რ – ლ.

ბრძანება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრისა

21 თებერვალი, 1921 წ.

ბენზინის და რეზინის სიმტირის გამო, სამხედრო მდგომარეობის შესამსუბუქებლად ვბრძანებ მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ბენზინის მარაგი გადადის სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების განკარგულებაში.

2. ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებების და პირებისა, გადადიან სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყებების განკარგულებაში.

3. საბარგო ავტომობილებით უნდა სარგებლობდნენ სამხედრო საჭიროებისათვის ყოველგვარი კმაყოფის საზიდავათ.

4. სასანიტრო ავტომობილები ხმარდება მარტო დაჭრილ და ავადმყოფთ.

5. მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობა შეუძლიანთ: მთავრობის წევრებს, მის განსაკუთრებულ რწმუნებულებს, გენერალ-გუბერნატორს და თფილისის მილიციის უფროსებს.

6. სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების მთავარ შტაბების განკარგულებაში იმუშავებს ხუთ-ხუთი სამგზავრო ავტომობილი.

7. ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება, თვალყურის დევნა და მისი სისრულეში მოყვანა ევალება სამხედრო წესების ზონაში გენერალ-გუბერნატორს და გარეშე ამისა, ადგილობრივ მილიციის უფროსებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს ბრძანება არ ვრცელდება უცხო მისიების ბენზინზე და ავტომობილზე.

ბრძოლის ყიჟინა

ზოგი ჭირი მარგებელიაო, უთქვამთ ძველებს.

ჩვენ კი შეგვიძლია თამამად ვაღიაროთ, რომ ჩვენი ერის მუდმივი გასაჭირი და მისი არსებობისათვის განუწყვეტელი ისტორიული განსაცდელი ყოფილა სამშვიდოს ის გაუნელებელი ქურა, სადაც მტკიცედ იჭედებოდა მისი ეროვნული სიბრძნე, მდიდარი კულტურა, გაფოლადებული ნებისყოფა.

აბა გადახედეთ თუგინდ ამ ჩვენს ახალს, მოკლე, მაგრამ უმდიდრეს ისტორიას. განა განვლილი ის საბედისწერო მომენტები არ წარმოადგენენ იმ უროს ცემას, რომელიც რბილ რკინას აფოლადებს და აყალიბებს?!

განა ამ გასაჭირის მომენტებმა არ გამოაფხიზლეს ქართველი ერი, განა მათ კვლავ სწრაფად არ გააიგივინონიერეს ის და ერთ ცოცხალ არსებად ქცეული თავის შესაფერ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ ჩამოაყალიბეს?!

და აი, ეს დიდი ჭირიც, უსინდისო, ვერაგი მტრისაგან კარზე მომდგარი, ახლავე დიდ საშვილიშვილო ნაყოფს იძლევა, რომლის უტყუარი ნიშნები უკვე ჩანს...

მუხანათი მტერი ვერაგულად დაგვესხა თავს, – და ისიც იმ დროს, როდესაც საქართველო თავის საერთაშორისო ოჯახში დაბადებას დღესასწაულობდა, ზეიმობდა...

დიდს განსაცდელში ჩავარდა მისი თავისუფალი არსებობა, მაგრამ ამ დიდმა განსაცდელმა დიდი სასწაულიც მოახდინა; მან აღაგრძნო, აღაფრთოვანა მთელი ერი; მან გამოამჟღავნა დაფარული მისი ფოლადისებური ნებისყოფა და აი ეს პატარა საქართველო ჭეშმარიტად რომ ჯარასავით დაატრიალა...

მთელი ერი ერთი კაცივით ფეხზე დადგა, მრისხანეთ წელში აღიმართა და ბრძოლის ველზე კვლავ რაინდულად გამოდის. ის დღეს იბრძვის მხოლოდ თავისუფალი არსებობისათვის და ამიტომაც ზღაპრულად ლომკაცდება.

ნაადრევი რომ არის მის მტერთა გველური სისინი, რომელიც ნეტარობს და ელის მის დამარცხება-განადგურებას, ამაში ის ჩქარა დარწმუნდება.

რომ გამარჯვების მოყვარული და გამარჯვებასვე ჩვეული საქართველო კვლავ დიდი, სამაგალითო გამარჯვების დაფნის გვირგვინს დაიდგამს, ამისი თავდებია ის ცეცხლის მფრქვევი, გმირული ბრძოლის ყიჟინა, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან მრისხანეთ მოისმის. და ეს ყიჟინა გაპირობებული ქართველი ერისა ომახიანათ გაისმის ძველ აზიასა და ახალ ევროპის გზაჯვარედინზე...

როგორც ჰარმონიული მრავალჟამიერის დიადი სიმღერით, რომელშიც ჩაქსოვილია ქართველი ერის საერთაშორისო სიყვარული აღგზნებული გული და სული, ის თავის სიცოცხლესთან ერთად შეჰნატრის ყველა ერების სიცოცხლესაც, – ისე ამ თავისებური ბრძოლის ყიჟინით ის კვლავ უყივის ყველა ერებს: "მოსვენებით, თავისუფლათ მაცოცხლეთ და მაცხოვრეთ ჩემს ცის ნაჭერის ჭერქვეშ, ჩემს მიწა-წყალზე, რომელიც ჩემი სიხხლით და ოფლით არის გაპოხიერებული; მაცხოვრეთ ჩემებურათ, დემოკრატიულათ, და თქვენც იცხოვრეთ, იხარეთ, ინეტარეთ! მე არ მინდა ვისიმე დამონება, მაგრამ ნურც მე დამიმონებენ, მომსპობენ, გადამაშენებენ... თორემ ბევრი მტერი მომიგერიებია, მომინელებია და კვლავაც მოვიგერიებო".

და ვინ იტყვის, რომ ამ ახალი დროს და ქვეყნის გარიჟრაჟზე ქართველი ერის ასეთი ისტორიული ყიჟინა საკაცობრიო, საერთაშორისო კეთილშობილური ყიჟინა არ არის?!

და აი ამიტომაც დღეს მთელ საქართველოს სწამს, რომ მისი ასეთი სამართლიანი ბრძოლის ყიჟინა მთელ მსოფლიოს მოეფინება, ყველგან გამოიწვევს ის სათანადო გამოხმაურებას და სამაგალითო გამარჯვებითაც დაგვირგვინდება.

ი. ირემაშვილი.

სალამი გენ. კვინიტრაძეს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ, ნ. ჩხეიძემ შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშით მიმართა რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალს გენ. კვინიტრაძეს:

"დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით გესალმება თქვენ და თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელმაც თავისი თავგანწირული და გმირული ბრძოლით იხსნა სამშობლო მტრის გამხეცებულ ბრბოთა თავდასხმისაგან.

ქართველი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებანი მოპოვებული 19-20 და 21 თებერვლის ომებში ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში და ამბები ამ გამარჯვებისა გადაეცემა მომავალ თაობას, როგორც საზღაპრო მოთხრობა ქართველ მებრძოლთა ძლიერებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალას!

დიდება და სახელი იმათ, ვინც გასწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსათვის და ბრძოლის ველზე დაეცა"

საქართველოს ერთგულ შვილებს

ჩვენმა ჯარმა მტერს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ დამარცხებულა, ამიტომ საჭირო ყველა ვიდგეთ თავ თავის ალაგას, ყველამ შეიგნოთ მომენტის სირთულე, დავიცვათ სრული წესრიგი შიგნით რომ ზურგის ერთსულოვნებით გავძლიერდეთ ფრონტზე.

ერთხმად უნდა დავცეთ ბრძოლის ყიჟინა და ვეკვეთოთ უკვე გატეხილ მტერს. ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა გავიმსჭვალოთ თავდაცვის გრძნობით.

და ჩვენ გავიმარჯვებთ-დამარცხდება მტერი!

ზურგის სიმტკიცემ და თქვენმა ერთსულოვნებამ უნდა აღაფრთოვანოს ფრონტი, მტერი ძლეულ უნდა იქნას, რაც შეიძლება დაჩქარებით, რომ გაზაფხულის მუშაობას თავის დროზე შევუდგეთ.

ჩვენ აქ ფრონტზე კარგად ვართ. სამხედრო ძალა სავსეა სიმტკიცით მტერზე გამარჯვების რწმენით, გაგვიმაგრეთ ზურგი!

პროვინცია თავდასცვის საქმეში

ხელა, 21 თებ. თემში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ქალი, კაცი, დიდი, პატარა, როგორც მუდამ დღესაც თქვენთან ვართ. შესდგა ფრონტის დამხმარე კომიტეტი, რომელიც უხვად აგროვებს ფრონტისათვის ყოველგვარ საჩუქრებს, სურსათს და ფულს.

მიტინგის თავმჯდომარე
მიხეილ ჟურავა.

ქართველ მაჰმადიანთა ხმა

გაშმი, 20 თებ. ქობულეთის უბნის ქართველ მაჰმადიანთა მრავალრიცხოვანმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ისიდორე რამიშვილის და მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძისა საქართველოზე ბოლშევიკური ჯარების თავდასხმის შესახებ, მიესალმება მთავრობას, უსურვებს შემოსეულ მტერზე სრულ გამარჯვებას და ალუქვამს დახმარებას.

კრების თავმჯდომარე
გასილაშვილი

ახალი ძალები მოდიან

ბათომიდან ჩამოსულის გადმოცემით ბათომიდან დაწყებული თფილისამდე ყველა სადგური სავსეა ფრონტზე მომავალი მხედრებით, რომელნიც დიდის ხალისით მოეშურებიან ფრონტისაკენ.

16 საათს იმუშავებენ

გურიის ერთობის მოსამსახურეთა თათბირმა დაადგინა:

ყველას, ვისაც კი შეუძლია იარაღის მოხმარა, დაუყოვნებლივ წავიდეს ფრონტზე. დარჩენილი თანამშრომლები კი, საქმე რომ არ დაბრკოლდეს, იმუშავებენ ორმაგს, ე. ი. 16 საათს.

ორმა თბილისელმა მეეტლე ბაპტისტმა 21 თებერვალს განაცხადეს: ბზად ვართ ჩვენი ეტლებით ომის განმავლობაში ვეხსახურეთ ფრონტსო.

საქართველოს კონსტიტუციის დამთავრება

ომის აღში გახვეული საქართველოს უზენაესი დაწესებულება დამფუძნებელი კრება იშვიათი სმიტკიცით და შეურყევლობით განაგრძობს თავის საშვილიშვილო საქმეს-საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებას. ორი წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მუშაობა. ყოველი დებულება, ყოველი სიტყვა პროექტისა აწონ-დაწონილი და ყოველმხრივ განხილული იყო ჯერ საკონსტიტუციო კომისიაში, შემდეგ პრესაში, პარტიულ ყრილობებზე და კონფერენციებზე და სხვა პარტიულ დაწესებულებებში. ეს მესამე თვეა, რაც დამფუძნებელი კრების პლენუმში შეუდგა პროექტის განხილვას. მან უკვე მოათავა პროექტის საბოლოო განხილვა, იმ მთავარი პრინციპების შეფასება, რომელზეც უნდა აშენებულიყო ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი შენობა. მოთავსებული იყო აგრეთვე პროექტის თავობრივი განხილვაც, რომლითაც დამფუძნებელ კრებას კონსტიტუციის თვითეული ნაწილი უნდა შეეთანხმებინა მთლიანობისათვის. უკვე დაწყებული იყო "მესამე წაკითხვაც", მუხლობრივი განხილვაც კონსტიტუციის პროექტისა, როდესაც მოგვისწრო "წითელი ურდოების შემოსევამ თფილისის აღყაშემორტყმამ და თფილისის დაცვისათვის ბრძოლამ. ზარბაზნების დანდგარში და ტყვიის ზუზუნში მოუხდა დამფუძნებელ კრებას დაწყებული საშვილიშვილო საქმის დამთავრება. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მას ერთ ხელში ეჭირა ხმალი, რომლითაც იგი მტერს იგერიებდა, მეორე ხელში კალამი, რომლითაც იგი სახელმწიფოს უქმნიდა ბირთად კანონებს. მრავალი მისი წევრი ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდა კონსტიტუციის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგს მათგანს ვერ მოესწრო სახეზე მოეწმინდა თოვ-ზარბაზნის მტვარტლი, ზოგს ბრძოლის ველზე დაშავებულს, სისხლის მობანაც კი ვერ მოესწრო და მიუხედავათ ამისთანა პირობებისა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ პირობებს სრულიად ვერ უნდა შეექმნათ შესაფერისი სულიერი განწყობილება კონსტიტუციის განხილვისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნებით გამსჭვალულმა დამფუძნებელმა კრებამ თავის ისტორიული დანიშნულების შესასრულებლად, თავისი მუშაობის დასაგვირგვინებლად. დღეს საქართველოს აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი პოლიტიკური სახე, რომლითაც იგი თამამად და ამაყად წარსდგება მსოფლიოს წინაშე.

საქართველოს კონსტიტუცია

21 თებერვლის საღამოს სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიგელი

მაორობის თავმჯდომარის გამოსვლას დამფუძნებელი კრება დიდის ოვაციებით და ტაშის ცემით ხვდება.

მოქალაქენო!

ახლა თანდათან ირკვევა ომის გამოწვევი მიზები და აგრეთვე ის, თუ რა მსვლელობას მიიღებს ეს ომი ახლო მომავალში.

ირკვევა ის, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხანია ჰქონდა განზრახვა, რომ საქართველოში მოხდეს გადატრიალება და საბჭოთა მთავრობა იქნეს გამოცხადებული, მაგრამ ისინი ამას აქამდის ვერ განხორციელებდნენ იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ერთიანური საკმაო საბაბი. ხოლო ახლა, ამ ათი დღის წინათ მათ იშოვეს ეს საბაბი ლორეს ოლქში

იქ მათ მოაწყეს "შეთქმულება" დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ. იქ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა, და აი, ვითომ ამათ მოსახმარებლად მოდის რუსეთის ჯარი. სწორეთ 15 ამა თვეს გამოიცა ბრძანება აბერბაიჯანში და სომხეთში მყოფ საბჭოთა ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ტყვეებისაგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია აღება თფილისისა და მოხდენა საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანისა. იქ არის აღნუსხული, თუ რომელმა ჯარმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა აიღოს ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი და ბოლოს დაასკვნის ასე, რომ 19 თებერვალს უნდა ავიღოთ თფილისი.

პირველი შემოტევა ამ ჯარისა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური. და აი, იმ უეცარმა, მოულოდნელმა შემოტევამ ჩვენი ჯარის მდგომარეობა შეარყია იქ სადაც ეს ჯარი იდგა, შეარყია იმდენათ, რომ იყო მომენტი, როცა იმ ჯარის, რომელიც გვყავდა ბორჩალოს მაზრაში სრულიად არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ, საბედნიეროთ, უნდა ითქვას, რომ როგორც ჯარებმა, ისე ჩვენმა ხალხმა ჩქარა შეიგნო მდგომარეობა, გამოსწორდა და უკვე დროზე ჩაება ომის ორგანიზაციულ მუშაობაში. ეს სწრაფი გამოსწორება მდგომარეობისა, ეს ხელ-ახალი თავის მოყრა იმ ჯარებისა, რომელიც დამარცხებული იყო. ეს შეკავშირება არის მიზები იმისა, რომ ჩვენ კიდევ აქა ვართ დღეს. ჩვენ ვიხევდით უკან; ეს დავიწყეთ ლორედან; როდესაც შევატყვეთ, რომ ამ მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენი ჯარი შეარყია ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ ადერბაიჯანი დაგვესხმებოდა თავს, ჩვენი მიზანი იყო ეს შერყეული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან უკან გამოგვეყვანა და საუკეთესი პოზიციები დაგვეკავებინა. ამიტომ უკან დავიხიეთ, დახევა მოხდა ალაგ-ალაგ მწყობრად, ალაგ-ალაგ კი არ იყო წარმოებული მწყობრად – როგორც ეს შეეფერება დახეულ ჯარს. მაგრამ საერთოდ, თითქმის დიდი ნაწილი ჯარისა, რომელიც იქ იყო, წამოვიდა მწყობრად თუ ცალ-ცალკე გამოვიდა.

ის ხალხი, რომელიც გამოვიდა, მოლღილი იყო, ნაგრამ საბოლოოდ გატეხილი-არა. მოლღილი იყო და საჭიროებდა მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენებას, რომ ისეთივე ჯარისკაცებად გამხდარიყვნენ, როგორც ახლად გამოსული მეომრები. აქ არ მოხდარა ის, რაც ჩვენ ვიხილეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ის არის, რომ თუმცა ასეთი უეცარი თავდასხმა მოხდა, უეცარი გამოსვლა, მაგრამ დეზერტირობა არ ყოფილა.

ამნაირად, ამ დროს განმავლობაში ჩვენ შევძელით ის, რომ მტრის წინააღმდეგ გამოგვეყვანა საუკეთესო გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გაყენებული ჯარი.

პირველი გენერალური ბრძოლა, რომელიც ჩვენ მივეცით საბჭოთა ჯარებს, ეს იყო ღამით 19-ს. ამ დრომდე ჩვენ მათთვის არასოდეს გენერალური ბრძოლა არ მიგვიცია და არც მათ მოუცია ჩვენთვის.

ბრძოლა წარმოებდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით 100 ვერსამდე. ამ ფრონტს ჰქონდა სამი ადგილი: ფრთა მარჯვენა, მარცხენა და ცენტრი. 18 და 19 ღამით მოხდა ამ ფრონტის წინააღმდეგ შემოტევა მთელ ამ მანძილზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდებული ომი.

19 დილით გამთენიკვა, რომ ჩვენ შევძელით გარღვევა მტრის ცენტრისა და იქ იგემა მტერმა სრული დამარცხება.

შემდეგ, 19 დღით, მოხდა ბრძოლა ჩვენ მარცხენა ფრთაზე.

იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერი იყო მეტად წინ წამოწეული, -მარტყოფში, ღილოში და აქ 19-ს დღით მოხდა ჩვენი შეტაკება მტერთან და მტერს დავახევინეთ და გადავრეკეთ ყარაიაზისაკენ. მხოლოდ დღეს 21 და წუხელ მოხდა დიდი შეტაკება მარჯვენა ფრთაზე. ამ მემარჯვენე ფრთის ბრძოლა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს მეტად მედგრად, მაგრათ და იჩენს დიდ დისციპლინას. წუხელ ჩვენს ჯარებს, რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ კოჯრის მიდამოებში, თავს დაესხნენ და მოინდომეს ერთი ადგილის, რომელიც ასე ვთქვათ, ღიად იყო დარჩენილი, გარღვევა. აქ მათ შეხვდნენ იუნკრები და თქვენ გეხსომეთ, რომ აქ გაიმართა დიდი ბრძოლა. იქ იყო ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გრანატებით და ხიშტებით ისე, რომ ასე ვაღლოს ჩვენ და ისინი ერთმანეთთან არ მივსულვართ ამ ბრძოლაში. მაგრამ, იქაც ისინი სასტიკად დამარცხებულნი იქნენ/ მხურვალე ტაში, ხმები: "ვაშა" / იქ იმ მიდამოებში მტერს ეჭირა ბევრი მაღლობი ადგილები. ზოგი ისეთი მაღლობი ადგილი ეჭირა, რომ იქ რომ დაედგათ ზარბაზნები, აქ თფილისს თითქმის გაანადგურებდა. ჩვენ გუშინ მივიღეთ ზომები, რომ ეს მაღლობი ადგილები წაგვერთმია. ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩვენი გამარჯვებისა და უნდა ვთქვათ, რომ ისეთი მიუვალი ადგილები, ისეთი მთები, სადაც მტერი იდგა და გამაგრებული იყო, ჩვენმა გვარდიის ნაწილებმა აიღეს გუშინ შეტევით ისე, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგავთ /ხმები: "გაუმარჯოს" და ხანგრძლივი ტაში/.

ამ ომში გამოიკვეთა ერთი რამ, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თითონ მაგრად მოდის, მაგრამ თუ შეუტევ, ვერ სძლებს. თორემ სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ასეთი მაღლობი ადგილების დატოვება, რომ ჰქონოდათ უნარი შეტევის გაძლებისა.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია იჩენს სამაგალითო სიმამაცეს / აქ კრება ფეხზე ადგომილა, ტაშით ცემით და "ვაშას" და "გაუმარჯოს" ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას/.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, იფეთქა ჩვენი ძველი წინაპრების სისხლმა /ძახილი "ვაშა" და "გაუმარჯოს" და ტაში/ იმ წინაპრებისა, რომელიც დიდ მოზღვავებულ მტერს მცირე გუნდით ამარცხებდნენ. ის რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ბრძოლის ველზე, მოენატრებათ ყველა დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს ჯარების ღღევანდელ პირობებში / ხმები: მართალია/. თვითეული ჩვენი მეომარი დარწმუნებულია იმაში, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა დავიხოცოთ /ტაში/ და მე მგონია რომ ამით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია /ტაში და ვაშა/. ჩვენ დღეს ისე ვართ გამაგრებული თფილისში, რომ თფილისის წართმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, /ვაშა და ტაში/. თბილისმა უკვე გამოიყენა თავისი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების სიმტკიცე. თფილისი არის და უნდა ვაქციოთ საქართველოს ვერდენათ /ტაში/ და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი თფილისი, ეს ჩვენი ვერდენი, საბოლოოდ გადაწყვეტს ამ ჩვენს ბრძოლას.

და ნუ შეგვეშინდება ჩვენ იმისა, თუ რა მოხდება სხვაგან პროვინციაში. ჩვენ არ შეგვარყევს ის, რომ კახეთს ან ბორჩალოს მაზრებს ზოგი სოფლები გადავიდა მტრის ხელში /ხმები- მართალია, კედია: ეს დროებითია/. სანამ თფილისი გამაგრებულია და ჩვენ მაგრად ვდგევართ, მე ვამბობ, რომ ბრძოლის ბედი აქ წყდება და აქ გაითხრება ნამდვილი სამარე მოწინააღმდეგისა /ტაში/.

ჩვენი საგარეო მდგომარეობა გამაგრებულია იმ მხრივ, რომ კოალიციას უკვე ჩამოშორდა სომხეთი. სომხეთში მოხდა გადატრიალება. საბჭოთა მთავრობა ჩამოგდებულია, დატყვევებული და მის აღგილას გამოცხადდა ახალი მთავრობა და ჩვენ მან უკვე მოგვმართა, რომ სურს დაიჭიროს მეგობრული კავშირი საქართველოსთან და არავითარ შემთხვევაში არ იღებს და არც ნიიღებს მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ ომში/ ვეშაპელი:" Timeo Danaos "/ ბატონო პოლიტიკაში მაგნაირი თქმულებით ვერ ვიხელმძღვანელებთ. აქ გადამწყვეტია ანგარიში.

გარდა ამისა ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა /ხმები: "გაუმარჯოს", "ვაშა" და ტაში/ საფრანგეთის ესკადრა მივიდა გაგრაში და ჩვენ ჯარებთან ერთად გუშინ ებრძოდა მტერს და მტერი დამარცხებულ იქნა/ ვაშა და ტაში ვეშაპელი: ეს სჯობია სომხეთს/

ამნაირად, ჩვენი შინაური საამხედრო მდგომარეობა ერთის მხრით და საგარეო მდგომარეობა მეორეს მხრით თანდათან მტკიცდება და ჩვენ გვაქვს სრული იმედი, რომ შემდეგ უფრო განმტკიცდება.

ახლა ჩვენ მოგახსენებთ იმაზე თუ ვისი ინიციატივით და ვინ მოუძღვის ამ საბჭოთა ჯარს საქართველოს წინააღმდეგ /ხმები: მოლაღატეები/ აღბათ იცით, რომ აქ გამოვიდა ფურცელი და დარიგდა, სადაც სწერია შემდეგი: რომ შულავერში შედგა საქართველოს მთავრობა/ სიცილი და ხმაურობა/ და ეს შულავერში შემდგარი საქართველოს მთავრობა არის თურმე ნამდვილი ჩვენი ხალხის მთავრობა და მოუწოდებს ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრება, დღევანდელი მთავრობა იქნეს, გადაყენებული გადაგდებული და შულავერის მთავრობა იცნოს. / რამიშვილი: მაღე გავრეკავთ ადერბეიჯანიდანაც/ ის ხალხი, რომელსაც სურს ჩვენში უცხო ხიშტების საშუალებით თავისი ძალაუფლება თავისი მთავრობა დაამყაროს /ხმები: ზიზღი მათ/. აი ეს ხალხი გახლავთ შემდეგნი: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი, მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია /ნ. ჩხეიძე: ღვანთიკლების მთავრობა . ხმები: კარგი კომპანიაა./

ამნაირად, ბ-ნო ამ ქართველების, ჩვენი ქვეშევრდომების სურვილი, რომელნიც მოუძღვიან მტერს და სურთ ქართველი ხალხი და ჯარის შემუსვრა სისხლით და მახვილით და საქართველოს ტირანებად მოევლინონ, – ამას არასოდეს ქართველი ხალხი არ დასთანხმდება /ხმები: "არასოდეს". ტაში/ ამ შერცხვენას ქართველი ხალხი არასოდეს არავითარი საშუალებით არ მიიღებს საკუთარ თავზე /ხმები: მართალია, ტაში/, მას ამისათვის არ უმუშავნია, იმისათვის არ ჩამოუგდია პეტერბურგის მთავრობა, რომ მიელო შულავერის მთავრობა, /ტაში და ვაშა/ მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რომელი ვაჟბატონები აპირებენ მის ასე გათელვას, მაშინ ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება უფრო გამტკიცდება და იტყვის: ან სიკვდილი, ან გამარჯვება /ტაში, დიდი ოვაციები. წუალია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის მეთაურს ნოე ჟორდანიას/.

დამფუძნებელი კრების დადგენილებები

21 თებერვლის საღამოს სხდომა.

I

იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოღალატეთ, ჩამოერთვას მთელი ქონება და მოეკვეთოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ეს დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას.

II

დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა, საიდანაც გამოირკვა, რომ ქ. შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, რმარ ფაიკი, ამაიკ ნაზარეთიანი, აღექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია აღიარებულ იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებად. ჩამოერთვას მთელი ქონება და გამოცხადდეს საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე.

III

დამფუძნებელი კრება ადგენს: მიენდოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროდ დაინახავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობად და რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ქრონიკა

თფილისის ქალდა მე 7-ე წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის დირექტორი სთხოვს გიმნაზიის მასწავლებელთ და მოწაფეთ, მოგრძანდნენ დღეს, დილის 9 საათზე გიმნაზიაში, ბრძოლის ველზე დაღუპული გიმნაზიის ყოფილი მოწაფის მარო მაყაშვილის ასულის დაკრძალვაში მონაწილეობის ნისაღებათ.

საკომენდანტო სამმართველო სთხოვს მშობლებს და ნათესავებს გმირულად დახოცილთა მხედრების დაკრძალვის შესახებ ყოველ შემთხვევაში მიმართონ საკომენდანტო სამმართველოს /რუსთაველის პრსპ. № 27, ყოფილი ევროპული სასტუმრო/.

მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ მან მიიღო მომარაგების სამინისტროსგან თბილისის მუშა მოსამსახურეთათვის შაქარი რომლის განაწილებას ამ დღეებში შეუდგება. შაქარი მიღებულია აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეთათვის.

"ერობა". რედაქტორი ლ. ნათაძე

მართლის მთამელს...

1920 წლის 27 აპრილს მაჰაჩკალიდან დაიძრა წითელი არმია ოთხი ჯავსნოსანი მატარებლით და 28 აპრილს აიღო ბაქო. წითელ არმიას თან ჩამოჰყვა მარიონეტული საბჭოთა მთავრობა, რომელმაც კრემლის საკუთრებად გამოაცხადა აზერბაიჯანის მიწა, წყალი, ჰაერი და რაც მთავარია ნავთობი, ანუ შავი ოქრო, რომელსაც ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან ნავთობი მაშინ და ახლაც ყოველგვარი შეფერხების გარეშე იყიდება მყარ ვალუტაზე.

საბჭოთა რუსეთმა საბოლოოდ ბაქოდან მილიარდი ტონა ნავთობი ამოიღო, რის ღირებულებაც, 1985 წლის ფასებით 130 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს იმდენად უზარმაზარი თანხაა ექვს მილიონიანი ერისათვის, რომ მსოფლიო ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება აზერბაიჯანელებზე უმოწყალოდ გაძარცული ერი. იმ ნავთობის ღირებულება რომ გაენაწილებინათ აზერბაიჯანელებისათვის თითოეულ ოჯახს 130 000 დოლარი შეხვდებოდა.

ლენინს ძალიან ადარდებდა "საბჭოთა"ნავთობის საზღვარგარეთის ბაზარზე გატანის საქმე. ნავთობსადენი და რკინიგზა შავი ზღვისაკენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაზე გადიოდა. საჭირო იყო საქართველოს მიწა-წყლის, ნავთობსადენის, რკინიგზის და თვით საქართველოს კრემლის საკუთრებად გამოცხადება. ასეთ პროცესს მაშინ გასაბჭოებას ეძახდნენ და ამ მიზნისათვის დაიძრნენ წითელი არმიის ურდოები კავკასიისაკენ.

1920 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა ერევანიც აიღო. აზერბაიჯანიდან წამოსულმა ბოლშევიკებმა "აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას" სომხეთისაგან წაგლეჯილი ყარაბაღი უფეშქეშა.

შემდეგ, უკვე გასაბჭოებული სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან დაეცა წითელი არმია საქართველოს. კრემლმა გამარჯვებისთანავე "გულუხვობა" გამოიჩინა: დაიპყრო რა საქართველო სომხეთიდან, საქართველოს ჩამოაჭრა ლორეს რეგიონი და უბოძა სომხეთს; შეუტია რა საქართველოს აზერბაიჯანიდან ორი მიმართულებით, საქართველოს ჩამოეჭრა საინგილო და ბერთუბანი, რომლებიც მაშინვე გადაეცა აზერბაიჯანის სსრ-ს.

ვინაიდან რუსის ჩექმამ გათელა კავკასიის სამივე დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავისუფლება და საერთო ქვეყანამ რუსეთის სასარგებლოდ დაჰკარგა ყოველგვარი ტერიტორიული სუვერენიტეტი, კრემლისათვის სულ ერთი იყო სახელად ვისი დარჩებოდა ყარაბაღი, ლორე, ბერთუბანი ან საინგილო. ყოველივე ეს თვით ბაქოს, ერევნისა და თბილისის ჩათვლით სახრავად კრემლის საკუთრება გახდა.

ლენინმა კარგად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი თავისუფლებისათვის დაიწყებდნენ ბრძოლას. მაშინ კრემლი იხელმძღვანელებდა პრინციპით "გათიშე და იბატონე". ტერიტორიების ამგვარი გადანაწილებით კავკასიის სამ ერს შორის წინასწარ იქნა ჩადებული განხეთქილების თესლი და საბჭოთა იმპერია როგორც კი ხედავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩანასახს, იწყებს ამ ერთა პროვოცირებას.

ეთნოკონფლიქტებს სათავეში უდევს ეს განხეთქილების თესლი. ხალხი ერთგვარად შეგუებულია ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას, რაც შვიდი ათეული წლის წინათ მოხდა. მათ შენარჩუნებული აქვთ პატრიოტული უკმარისობის გრძნობა, რამეთუ პატრიოტს ვერ ვუწოდებთ კომუნისტურ პარტიაში მყოფ ქართველს, სომეხსა თუ აზერბაიჯანელს, რომელიც იგუება კრემლის ბატონობას და ღიზიანდება თავისი ეროვნული ღირსებების სხვაგვარი უფრო უმნიშვნელო შეღახვით. ასეთ "ეროვნულ" მოძრაობაში სომხეთისა იქნება ეს ქართველთა თუ აზერბაიჯანელთა ადვილად იკიდებენ ფეხს პროკომუნისტური განწყობის ადამიანები, რომლებიც აბრკყვებენ ხალხს და იმის მაგივრად რომ თავისუფლებისათვის იბრძოლონ, ეთნოკონფლიქტებში ებმებიან. ასე დაიწყო სომხეთისა და აზერბაიჯანის სისხლისმღვრელი ხანგრძლივი კრიზისი ყარაბაღის გამო.

რა თქმა უნდა შეუძლებელია, რომ სომეხთა შორის არ ყოფილიყო თუნდაც ერთი პოლიტიკურად საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც იტყოდა - რას სჩადიხართ უგნურებო!? რას ერჩით ერთმანეთს?! საერთო მტერი კრემლია და მოდით ერთად ვებრძოლოთ დამპყრობელსო. ამგვარი მოწოდებებით სომხეთს მიმართავდა დისიდენტი პაპერირ ჰაირიკიანი. ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა 1987 წლის 24 მარტს დააპატიმრა. მას ვერავითარი ხელმოსაკიდი ბრალდება ვერ წაუყენეს და გასული წლის ზაფხულში ძალით გადააფრინეს ციხიდან ეთიოპიაში.

ეთიოპიიდან ჰაირიკიანი ამერიკაში ჩავიდა. მისმა პარტიამ გააგრძელა ჰაირიკიანის გზა მაგრამ დღეს სომხეთში პოლიტიკურ კლიმატს წარმართავს ყარაბაღის კომიტეტის ბაზაზე შექმნილი "სომხეთის საყოველთაო ეროვნული მოძრაობა"-"АОД" ჰაირიკიანის მიმდევრები "АОД"ში არ შედიან, მოითხოვენ რეფერენდუმს და სომხეთის თავისუფლების საკითხის საერთაშორისო დონეზე დასმას.

"АОД"-ს ხელმძღვანელობს 36 კაციანი მმართველობა. სომხეთის თავისუფლების ლოზუნგი მათთვის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობისაა, იბრძვიან "კონსტიტუციური" გზით, სომხეთის სსრ უმაღლეს საბჭოში გაიყვანეს ხუთი თავისი დეპუტატი, აპელაციებით მიმართავენ გორბაჩოვს და მოითხოვენ ყარაბაღს.

სომხეთში ერთ წელზე მეტია, რაც კომენდანტის საათი კრძალულია... იქ ვერ გაიჭაჭანებენ აზერბაიჯანელები და არც სომეხს დაადგება კარგი დღე აზერბაიჯანში, მაგრამ ორივეგან უბატონოდ ხმასაც ვერ გასცემენ კომუნისტებს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს, რომელთა კისერზეც მოდის ამ სისხლისღვრის მთელი ცოდო.

ჰაირიკიანი ამჟამად ლოს-ანჯელესშია. იქიდან გამოგვიგზავნა მან ეს სურათებიც. ზემოთ: ჰაირიკიანის მიერ საქართველოს სოლიდარობის მანიფესტაცია-იქაური სომხები 9 აპრილთან დაკავშირებით სოლიდარობას უცხადებენ საქართველოს. ფოტოზე ჩანს თავისუფალი საქართველოს შინდისფერი დროშები და პლაკატები "შეწყდეს რეპრესიები თბილისში" "ლოს-ანჯელესელი სომხები მოვითხოვთ სომეხი პოლიტპატიმრების განთავისუფლებას" /იმ დროს ყარაბაღის კომიტეტი დაპატიმრებული იყო/, "თავისუფლება სომხეთს და საქართველოს" და სხ.

ქვემოთ, საბჭოთა კავშირის დროშაზე შემდგარ პაპერირ ჰაირიკიანს ხელში უპყვრია თავისუფალი სომეხეთის სამფეროვანი დროშა.

ჰაირიკიანს ეთიოპიაში გასახლების შემდეგ სომხეთში დარჩა დედა, რომელიც გარდაეცვალა, ოღონდ საბჭოთა ხელისუფლებამ პაპერირს არ მისცა სომხეთში ჩამოსვლის უფლება დედის დაკრძალვაზეც კი.

სუკ-ს ეშინია, რომ სომეხი ხალხი ქართველების მსგავსად აირიკიანის მოწოდებით თავისუფლების გზას არ დაადგეს ამიტომაც გააძევეს პაპერირ ჰაირიკიანი სომხეთიდან. რომ იტყვიან მართლის მთქმელს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდესო... თუმცა რა დროს ცხენია?! "პერესტროიკის" ხანაში პირდაპირ ლუბლიანკიდან დაფრინავენ თვითმფრინავები ეთიოპიაში...



ამ ბოლო დროს საქართველოშიც ითმობა სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი გზა. ბლოკირებულია ამგვარი გზის მიმდევარი ორგანიზაციები. პოლიტიკურ არენაზე გამოდიან ისეთი აპოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც არად აგდებენ რეფერენდუმის ჩატარებას, საბჭოური არჩევნების ბოიკოტს და ეროვნული სათათბიროს არჩევას, მიმართავენ ძალისმიერ აქტებს, ერევიან ეთნოკონფლიქტებში და ამწვავებენ მათ.

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ხმამაღლა ითქვა იმის შესახებ, რომ ეროვნული მოძრაობისათვის ცნობილი გახდა სუკ-ის მორიგი პროვოკაცია - ახალციხეში დაგეგმილი ყოფილა სომხებსა და ქართველებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკების მოწყობა, რაც ა/წ-ის დეკემბრიდან, ზამთრის გამო, მომავალი წლის მარტში გადაუტანია სუკ-ს.

გახსოვდეთ: ორი ერის შეტაკებისათვის სუკ-ი ჩვეულებრივ ორივე მხარეში აგზავნის პროვოკატორებს და მათი მხილება თითქმის ყოველთვის შეუძლებელია.

იქ სადაც იწყება ეთნოკრიზისი, მთავრდება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა!

ნომერი მოამზადეს: ვაჟა მთავრიშვილმა, აღეკო ჩიტაძემ და გიორგი ნიშნიანიძემ.

რედაქციის მისამართია: თბილისი 380 008 ენგელსის 36ა ვაჟა მთავრიშვილს. დაკვირვება: 36-71-87, 39-65-77.